



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N16

ქ. მარნეული

02.10.2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ლერი მუმლაძე, გიორგი შუკაკიძე, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი.

არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი.

ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების
დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3129 წერილის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3129 წერილის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3131 განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3329 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2598-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2610-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2607-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2608-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. სოციალური საკითხები
12. ქორეოგრაფიული ანსამბლ „ენგური“-ს ქორეოგრაფის ლევან ყურავას განცხადების განხილვის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

იმის გათვალისწინებით, რომ სხდომას არ ესწრებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნაბი აბდულაევი, სხდომას თავმჯდომარეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალერი მეტრეველი.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგნილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის“ ხარჯთაღრიცხვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება, რომელიც ითხოვს ქალაქ მარნეულში მდებარე 2 მეჩეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დაფინანსებას წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, რომელიც ქვითარი N50/11462550-ს მიხედვით შეადგენს 60 ლარსა და 29 თეთრს და ქვითარი N50/11462551-ს მიხედვით შეადგენს 3 ლარსა და 80 თეთრს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3129 წერილი, რომლითაც ითხოვენ ქონების მართვის სამსახურის, იმის გათვალისწინებით რომ დაემატა მოსაკრებლის განყოფილება, დაემატოს საწვავის ლიმიტი -250 ლიტრი და სასაუბრო ბარათის ლიმიტი - 150 ლარი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3131 წერილი, რომლითაც განსახილველად წარმოდგენილია მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებული ფერმერების დოკუმენტაცია, რომლებიც ითხოვენ 2015 წლის მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3329 წერილი, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური ითხოვს განხილული იქნეს ქალაქ მარნეულში საგზაო ნიშნების განთავსების საკითხი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2598-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც მოქალაქე კაკვაზ ბოზდიევი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემით: საკადასტრო კოდი N83.01.09.568, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, გუდიაშვილის ქუჩა, N48ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2610-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც მოქალაქე ვაკილ უმბატოვი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემით: საკადასტრო კოდი N83.02.21.233, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა, ჩიხი II, სახლი N3ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2607-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც მოქალაქე რამინ კარაევი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემით: საკადასტრო კოდი N83.02.19.353, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, აბდულა შაიგას ქუჩა, N34ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2607-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც ჯავის რაიონიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეკომიგრანტებისათვის იგეგმება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რის გამოც ითხოვენ თითოეულ მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის მიერ მომზადდეს საინჟინრო გეოლოგიური და ტოპო გეგმები, რის გამოც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს თანხმობას, რათა აღნიშნული სამუშაოები შესყიდული იქნეს გამარტივებული შესყიდვით, გადაუდებელი აუცილებლობით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა ბიუროს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისთვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწიათ სხვადასხვა დახმარებები

(ოპერაცია, მედიკამენტები, მკურნალობა, ერთჯერადი), რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალების“ თავმჯდომარემ გიორგი შუკაკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ანსამბლ „ენგურის“ წერილი, რომელიც ითხოვს დაფინანსებას ესპანეთსი გასამართ ფესტივალზე მონაწილეობისათვის. გამოითქვა აზრი, რომ სასურველია წარმოდგენილი იქნეს დოკუმენტაციის სრული პაკეტი, მათ შორის ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ წერილიც, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე:

ვალერი მეტრეველი